ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

1–2406

ბრძანება №_____

30 ოქტომბერი

"____"_____2017 წ.

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.801), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 28 სექტემბრის №39 და 2017 წლის 19 ოქტომბრის №42 სხდომის ოქმების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.801), განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=3,5.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდილ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2 მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების

დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი“. TBCBGE22. ანგარიში: GE41TB7002533030100295.) 18 200 (თვრამეტი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია



საგადასახადო დავალება
Payment Order

0 GEL

თარიღი / Date: 16/10/2018

ს.ს. „თიბისი ბანკი"

გადამხდელი / sender

შპს კრეატივ კონსთრაქშენ 405238899

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account: GE28TB7492236080100006

გადამხდელის ბანკი / Sender's bank: ს/ს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code: TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name: შპს კრეატივ კონსთრაქშენ 405238899

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code: 405238899

მიმღები / Receiver

ქ.თბილისის მერია

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code: GE41TB7002533030100295

მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury: ს/ს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code: TBCBGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

სტუდიალური ზონალური მწვანეების გაკეთების მისაკუთრებელი. ხრიანების N 1-2406 თარიღი: 30.10.2017 წ

დამატებითი ინფორმაცია / Additional information

რეფერენსი / Ref. Num.: 2279809433

თანხა / Amount: 18,200.00 GEL

თანხა სიტყვიერად
Amount in words: თვრამეტი ათას ორასი ლარი 00 თეთრი

გადარიცხვის საკომისიო
Transfer Fee: 0 GEL

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date: 16/10/2018

ხელმოწერა
Signature

შტამპის ადგილი

თიბისი ბანკი TBC BANK კოდი CODE TBCBGE22 27700

ხელმოწერები
Signature

ბ.ა.

16/10/2018 11:23:32 AM

2279809433

ბანკის ვერიფიკაცია

ინფორმაციული ხასიათის ტექსტური ინფორმაცია, რომ დეტალურად იქნობს ს/ს თიბისი ბანკის მომსახურების და ტარიფების შესახებ ინფორმაციას შეგიძლიათ ნახოთ ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tbcbank.ge

№ ს-1/ბ 1701-18

"25" 09 2018 წ.

დადგენილება №000255
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

25.09.2018წ. ქ. თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2018 წლის 25 სექტემბრის №000255 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი **შ.პ.ს. "კრეატივ ქონსთრაქშენ"-ის** (საიდენტიფიკაციო კოდი №405238899, დირ. თორნიკე შანიძე, პირადი №35001037154, მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, იყალთოს ქ. №14, ბ. №9) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, სოფ. დიღომი, საკ. კოდი №01.72.14.035.801-ში შ.პ.ს. "კრეატივ ქონსთრაქშენ"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3586066 (AR1542949) 04.10.2017წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით – ფასადი: ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების ვიზუალი, გაბარიტები და ადგილმდებარეობა, ასევე შეცვლილია ვიტრაჟების ვიზუალი და გაბარიტები. „H-A" ფასადი: „G-E" და „D-B" მონაკვეთში +21.900 ნიშნულზე დამატებულია კაპიტალური კედლები, რის ხარჯზეც საზაფხულო ფართის ნაცვლად მოწყობილია საცხოვრებელი ფართი. გეგმა: შეცვლილია კოლონების გაბარიტები და რაოდენობა, ასევე დამატებულია რიგელები. ნაწილობრივ შეცვლილია აივნების გაბარიტები და კიბის საფეხურების რაოდენობა. შეცვლილია შახტების რაოდენობა. „A-A" და „H-H" ღერძებზე „1-1" ღერძთან დამატებულია დიაფრაგმები. ნაწილობრივ შეცვლილია კედლების სისქე. გეგმა -2.85 ნიშნულზე: შეცვლილია კიბის კონფიგურაცია. „3-3" ღერძზე „E-F" მონაკვეთში გაუქმებულია რიგელი და გაზრდილია ღიობის სიმაღლე. გეგმა ±0.00 ნიშნულზე: შემცირებულია სართულის სიმაღლე.

2018 წლის 25 სექტემბრს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის "ზ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000255 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №19/01182572042-17 14.09.2018წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. "კრეატივ ქონსთრაქშენ"-ის მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების

დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, სოფ. დიღომი, საკ. კოდი №01.72.14.035.801-ში შ.პ.ს. "კრეატივ ქონსთრაქშენ"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3586066 (AR1542949) 04.10.2017წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით.

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "კრეატივ ქონსთრაქშენ" დაჯარიმდეს 15000 (თხუთმეტიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "კრეატივ ქონსთრაქშენ"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "კრეატივ ქონსთრაქშენ"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე

მ. ჯაყელი

საგადასახადო დავალება
Payment Order

0 GEL

ს.ს. „თიბისი ბანკი" 27/09/2018 1:08:56 PM

თარიღი / Date: 27/09/2018

გადამხდელი / sender	შპს კრეატივ ქონსთრაქშენ, 405238899
გადამხდელის ანგარიში / Sender's Account	GE28TB7492236080100006
გადამხდელის ბანკი / Sender's bank	სს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი / Bank Code	TBCBGE22
რეფერენსი / Ref. Num.	2249058740
თანხა / Amount	15,000.00 GEL

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name	შპს კრეატივ ქონსთრაქშენ, 405238899
საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code	405238899
თანხა სიტყვიერად Amount in words	თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი
მიმღები / Receiver	ბიუჯეტის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ
გადარიცხვის საკომისიო Transfer Fee	10.5 GEL
მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code	300773263
მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
ბანკის კოდი / Bank Code	TRESGE22
ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date	27/09/2018
გადახდის დანიშნულება / Operation Details	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო
დამატებითი ინფორმაცია / Additional information	დადგენილების N: 000255 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ხელმოწერა
Signature

ბეჭდის ადგილი

TBCBGE22 BANK 036017 95650

2249058740

ზედა დოკუმენტი

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.საგადახდო დავალების საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge